საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ საქართველოს კანონების პროექტებს: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მათ დაჩქარებული წესით განხილვას.

აღნიშნულ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე - თამარ გაბუნია.

დანართი: - 2 გვ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-100 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დასაბუთებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

N 22141

16.06.2020

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 7 20 00022096

16/06/2020

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტების დაჩქარებული წესით განხილვა მიზანშეწონილია შემდეგი გარემოების გათვალისწინებით:

არსებული პრაქტიკისა და რეალობის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები (სალიცენზიო/სანებართვო/მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის კონტროლის, ასევე, სამართალდარღვევათა მიმართულებით) რიგ შემთხვევაში, სათანადოდ და ეფექტიანად ვერ პასუხობენ შესაბამის გამოწვევებს, ვერ ახდენენ შესაბამის ზეგავლენას, რათა მომავალში მოხდეს ხარისხიანი და უსაფრთხო სამედიცინო სერვისების მიწოდება, სამართალდარღვევის ფაქტების პრევენცია და ა. შ. მით უფრო, რომ საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამდენად, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ყველა რისკი მაქსიმალურად მოკლე დროში იქნეს აღმოფხვრილი და შემცირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა რეგულაცია იყოს ქმედითი და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შეძლოს თავისი მოვალეობების ეფექტიანად განხორციელება კონტროლის შესაბამისი ღონისძიებების დროულად შემოღების საფუძველზე. ამდენად, მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტების საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცედურები წარიმართოს დაჩქარებული წესით, რათა მიღებული და ამოქმედებული იქნეს გონივრულ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული ცვლილებების საბოლოო იმპლემენტაცია დროში შეფერხდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

ამასთან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული კანონპროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მოცემულ ეტაპზე, მოხდა სამედიცინო საქმიანობის სფეროში არსებული რეგულაციების რევიზია მათი ქმედითობისა და ეფექტურობის კუთხით. შეფასების მიხედვით, მოქმედი ნორმები, ზოგიერთი მიმართულებით, ვერ პასუხობენ პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს. შესაბამისად, მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის მომზადების შემდგომ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამედიცინო საქმიანობის სფეროში მოქმედი კონტროლის ღონისძიებების დაზუსტების მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 978 2020 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი

თ. გაბუნიას საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე - თამარ გაბუნია.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 ივნისის სხდომის

N13 ოქმიდან

III. საქართველოს კანონის პროექტები: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, ,,სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი ,,თ.გაბუნიას საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ე.ტიკარაძე)

---

1. მოწონებულ იქნეს აღნიშნული კანონპროექტები და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად.
2. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს აღნიშნული კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა.
3. მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

საქართველოს პრემიერ–მინისტრი გ. გახარია

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსი ნ. მეზვრიშვილი